პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 195 (7256)

12 1982 წ. ოქტომბერი. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო.

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

განახლების დღეს გილოცავთ, ხევსურეთის ძველო მიწავ!





განახლების ქარი ხევსურეთის ძველ მიწაზეც შემოიჭრა. მიუდგომელი და მკაცრი, ლეგენდებით მოსილი მთები ელოდნენ სტუმრებს. უწყვეტ ნაკადად მიიჩქაროდნენ დღესასწაულზე ავტობუსები და მსუბუქი ავტომობილები — ძირითადად „ნივები“ და „უაზები“.

ასობით, ათასობით კაცი მოდიოდა შატილში. თბილისიდან და დუშეთიდან, ახმეტიდან და გარდაბნიდან, თელავიდან და ყაზბეგიდან, მთელი ხევსურეთიდან მოიჩქაროდნენ ადამიანები.

ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, ამხანაგები გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. ი. კავსაძე. მინისტრები, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები. შატილში გამართულ დღესასწაულს კონკრეტული საბაბიც ჰქონდა: საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირმა — ცეკავშირმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნა აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების მეურნეობა. სწორედ ამ მეურნეობის საზეიმო გახსნაზე ჩამოვიდნენ სტუმრები, ჩამოვიდნენ, რათა ადგილზე ენახათ და გადაეწყვიტათ, თუ რისი გაკეთებაა საჭირო და შესაძლებელი ახალი მეურნეობისათვის, როგორ დაეხმარონ მას მხრების გაშლაში.

— დღეს ხევსურეთში ნამდვილად დიდი დღეა, — თქვა მიტინგზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. — იგი დასაბამს აძლევს ამ ძველი მხარის განახლებას, სასიხარულო ცვლილებებს მთიელებისათვის. ხევსურეთი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში, იგი მისი განუყოფელი ნაწილია. და გული გტკივა, როცა დღეს უყურებ ამ მიტოვებულ მთებს, ვერ ხედავ მათ ნამდვილ მზრუნველ პატრონებს, გამრჯე ხევსურებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის კურსი, რომელიც ითვალისწინებს მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას, სწორი და გამართლებული კურსია. მთელი ხალხი მხურვალედ უჭერს მას მხარს, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მთას დაუბრუნდეს სიცოცხლე, დაბრუნდნენ მისი პატრონები. დღეს შატილში ჩამოვიდნენ სამინისტროებისა და უწყებების, დიდი სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე მაქსიმალურ ყურადღებას გამოიჩენს ამ მხარისადმი, მუდმივი ზრუნვის საგნად გაიხდის მის პრობლემებს.

დღეს კი ხევსურეთში ბევრი პრობლემაა. და ერთ-ერთი მთავარია ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ხევსურების დაბრუნებას მშობლიურ მხარეში. ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია და იგი უნდა მოვიხადოთ.

სოფელ არხოტში გავიცანით შესანიშნავი ხევსურული ოჯახი. ციცია და ნათელა ჯაბუშანურებს თერთმეტი შვილი ჰყავთ. დაე გამრავლდეს ამ ძველ მხარეში ასეთი მრავალშვილიანი და ერთსულოვანი ოჯახები. ეს არის მისი ძალა, ეს არის მისი აღორძინების საწინდარი.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შატილის მცხოვრებთ, ყველა ხევსურს მიულოცა ახალი ცხოვრების დადგომა, უსურვა მათ ბედნიერება და წარმატებები შრომაში.

მიტინგის შემდეგ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატებმა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა დიდი კონცერტი გამართეს.

ამავე დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ცეკავშირის ახალი მეურნეობა ბარისახოში. ამასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ დუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. თ. წიკლაური, ახალი მეურნეობის დირექტორი ტარიელ არაბული, მუშა ზაქრო ლიქოკელი, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლე მირზა წიკლაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მაია არაბული, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი.

ბარისახოს, მთელი ხევსურეთის მშრომელებს განახლების დაწყება მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

* * *

სურათებზე: დღესასწაული შატილში (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„მცხეთობა“: შრომის დღესასწაული

ჯვარისა და სვეტიცხოვლის ძველ კედლებთან, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კამხალთან გაშლილ შაბათს გაისმოდა სახალხო დღესასწაულობა „მცხეთობის“ მელოდიები. ტრადიციისამებრ იგი დაიწყო ქალაქ-მუზეუმის საპატიო მოქალაქეთათვის პატივის მიგებით. ყოველწლიურად მცხეთის საპატიო მოქალაქენი ხდებიან ადამიანები, რომელთა საქმიანობამ ხელი შეუწყო ძველი ქალაქის აყვავებას. ახლა დაასახელეს ლენინური პრემიის ლაურეატი მწერალი ნოდარ დუმბაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციციშვილი, ზაჰესის დირექტორი სსრ კავშირის დამსახურებული ენერგეტიკოსი ა. ხეთაგური.

„მცხეთობა“ შრომის, მოსავლის დღესასწაულია და რაიონის მშრომელები მას შესანიშნავი გუნებაგანწყობით შეხვდნენ: წარმატებით სრულდება სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის, მინდვრების, ბაღების პროდუქციის მიყიდვის გეგმები, მაღალი მაჩვენებლებით ამთავრებენ წელს სამრეწველო საწარმოები, — თქვა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარისაშვილმა, მრავალრიცხოვან სტუმრებს რომ მიესალმა.

სტუმრებს შორის კი იყვნენ მცხეთაში საყვარელი და პატივსაცემი ადამიანები — პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. აბაშიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ო. მელვინეთუხუცესი, რუსთაველის სახელობის პრემიისა და საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატი მწერალი გ. ფანჯიკიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. კიკაბიძე...

ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად გაისმოდა ბულგარული ჰანგებიც „დუნაის ხმები“ — ასე ეწოდება ქალაქ რუსეს გუნდს, რომელიც ზეიმში მონაწილეობდა. დღესასწაულს რამდენიმე ეპიცენტრი ჰქონდა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, თავიანთი ოსტატობა აჩვენეს საქართველოს ფილარმონიის მსახიობებმა და ბულგარელმა სტუმრებმა. ქალაქის პარკში სახალხო სეირნობის მონაწილეებს იწვევდნენ რაიონის მეურნეობათა მიერ შექმნილ დეკორატიულ კუთხეებში. აქვე გაიმართა თვითმოქმედი სასკოლო კოლექტივების დათვალიერება-კონკურსი, სპორტული შეჯიბრება.

„მცხეთობაში“ მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია.

(საქინფორმი).

სეანსი საელჩოში

ტილბურგის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირზე, დასვენების დღეს მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ჰააგაში, სსრ კავშირის საელჩოში ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა. მისი მეტოქენი იყვნენ ჰოლანდიის პარლამენტის წევრები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, სპორტული ჟურნალისტები.

ჩემპიონმა 19 პარტია მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა.

სეანსის შემდეგ სსრ კავშირის ელჩმა ნიდერლანდებში ვ. ბელეცკამ დარბაზობა მოაწყო.

მეორე დღეს საერთაშორისო ტურნირზე VII ტურის შეხვედრები გაიმართა.

ამ დღეს საბჭოთა მოჭადრაკეები შავებით თამაშობდნენ. ა. კარპოვმა და ვ. სმისლოვმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. ტ. პეტროსიანი დამარცხდა ჯ. ნანთან (ინგლისი).

ი. ტიმანმა (ჰოლანდია) მოუგო ე. ტორეს (ფილიპინები), უ. ანდერსონმა (შვეცია) — ბ. ლარსენს (დანია).

7 ტურის შემდეგ კარპოვს 5 ქულა აქვს, ტიმანს — 4,5, სმისლოვს — 3,5, პეტროსიანს — 3.

შეჯიბრების დამთავრებამდე ტური დარჩა.

● ჭადრაკი

არახამია მეორეა

ჩერნოვცი, 11 ოქტომბერი („ლელოს“ სპეც. კორ). აქ გამართულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ტრადიციულ ჩემპიონატში მონაწილეობდა 11 მოჭადრაკე — ოსტატი ლ. კულიკოვა (მოსკოვი) და 10 ოსტატობის კანდიდატი, მათ შორის იყვნენ თბილისელები ქ. არახამია, მ. მახარაძე, ი. კურცხალია და ნ. ფილია.

ჩემპიონის წოდება მოიპოვა კულიკოვამ — 8,5 ქულა.

II ადგილზეა არახამია — 7. მოჭადრაკე გოგონამ ორი წაგებით დაიწყო შეჯიბრება. მერე ფილიასთანაც დამარცხდა, სამაგიეროდ ფინიშზე ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო.

პირველ ნახევარში წარმატებით იბრძოდნენ ფილია (4,5 ქულა 6-დან) და კურცხალია (4 ქულა 6-დან), მაგრამ შემდეგ წაიფორხილეს. ჩანს, ვერ გაუძლეს დაძაბულ ბრძოლას.

გ. ბარბაქაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

● რეგბი

ოვალური ბურთის ფინიში

ლვოვში დამთავრდა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე იმ კოლექტივების ასპარეზობა, რომლებიც უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის იბრძოდნენ. უძლიერესი იყო კიევის „პოლიტეხნიკი“, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ბოლო ტური და 36 ქულა მოაგროვა... უკრაინელმა რეგბისტებმა გაუსწრეს შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორ თბილისის „ლოკომოტივს“ (32 ქულა), კაუნასის „სტაკლესს“ (31), ლვოვის „სოკოლს“ (29)... ამ ოთხეულმა გაისად უმაღლეს ლიგაში გამოსვლის უფლება შეინარჩუნა.

უძლიერესთა მიღმა დარჩნენ თბილისის „შევარდენი“, ალმაათის არმიელთა გუნდი, მოსკოვის „სპარტაკი“ და მაი-ს რეგბისტები.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველი ექვსეული კი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სლავა“	21	17	4	0	59
სკა	21	16	2	3	55
„ავიატორი“	21	10	4	7	45
„ფილი“	21	9	2	10	41
„სახლმშენი“ კ.	21	8	2	11	39
„ლოკომოტივი“	21	7	2	12	37

25-ე, საიუბილეო

საკავშირო საცხენოსნო სპორტული შეჯიბრება

ამას წინათ კრასნოდარის სამხარეო იპოდრომზე გაიმართა 25-ე საკავშირო საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა საიუბილეო თარიღს — სსრ კავშირის დაარსების მე-60 წლისთავს, საცხენოსნო-სპორტულ თამაშებში მონაწილეობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების საუკეთესო მხედრები.

მეოთხედი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი ჩვენში ამ საცხენოსნო-სპორტულ თამაშებს, რომელსაც საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტრო ატარებს. მის მიზანს წარმოადგენს მეცხენეობის დარგში მუშაობის შეჯამება, სელექციის ახალი გზებისა და პერსპექტივების ძიება. ომისშემდგომ წლებში ჩვენმა სელექციონერებმა 20-30 წლებში დაწყებული საქმე აღადგინეს და განაახლეს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ესაჭიროებათ ცხენი, როგორც გამწევი ძალა. ჩვენმა სოფლის მეურნეობამ ბევრი სწრაფმავალი და ტვირთმზიდავი ცხენი მიიღო. სასელექციო საქმის განვითარებაში დიდი მუშაობა და ამოცანები დაეკისრათ სახელმწიფო იპოდრომებს.

1954 წელს საცხენოსნო სპორტის კლასიკურ სახეობებს შეერწყა სხვადასხვა ეროვნული სახეობები.

კოლმეურნე მხედართა, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების პირველი საკავშირო შეჯიბრება 1958 წლის მაისში მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე ჩატარდა. 1964 წელს მე-7 საკავშირო საცხენოსნო-სპორტულ თამაშებს უმასპინძლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა — თბილისმა. ბევრს ახსოვს კიდეც, შეჯიბრების დაწყებამდე თუ როგორ საზეიმოდ გაიარეს ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში მხედრებმა. 1971 წელს ჩვენს დედაქალაქში მეორედ შეიკრიბნენ კოლმეურნე მხედრები, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების საუკეთესო წარმომადგენლები. ეს გახლდათ მე-14 საკავშირო საცხენოსნო შეჯიბრება დოღში, დაბრკოლებათა გადალახვაში (კონკურში) და ეროვნულ სახეობებში. გათამაშდა 60 პრიზი და დამყარდა 13 საკავშირო რეკორდი.

წელს კი კრასნოდარის სამხარეო იპოდრომმაც მეორეჯერ უმასპინძლა ამ შეჯიბრებას. დიდი საცხენოსნო-სპორტული დღესასწაულის გახსნას ესწრებოდნენ საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ყუბანში ჩამოსული ჟურნალისტები, სამამულო ომის მონაწილე ძველი კავალერისტები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. მათ შორის ჟურნალ „კონევოდსტვო ი კონნი სპორტის" მთავარი რედაქტორი კ. კოჟევნიკოვი.

ასპარეზობის ყველა წვრილმანზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა. მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მხოლოდ მთავარ შედეგებზე.

დაბრკოლებათა გადალახვაში გახსნის დღეს, ლატვიის სახელობის პრიზს ერთმანეთს შეეცილნენ რსფსრ-ს, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, საქართველოსა და ყაზახეთის სპორტსმენები. შეჯიბრება პირადგუნდური გახლდათ; საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ის ნაკრებმა. პირად პირველობაში პრიზი დაისაკუთრა ქაგარის ცხენსაშენის 19 წლის ოსტატობის კანდიდატმა ლაიმონდას სკერისმა. ქართველმა მხედრებმა გუნდური ჩათვლა ვერ მიიღეს ცხენების დაშავების გამო.

კვლავ გაიმართა დაბრკოლებათა გადალახვა. ესტონეთის სახელობის პრიზისთვის იბრძოდნენ რსფსრ-ის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ლატვიის, ლიტვისა და საქართველოს მხედრები. შეჯიბრება აქაც პირადგუნდური იყო (მარშრუტი ამორჩევით, დაბრკოლებათა სიმაღლე 140 სმ) და თითოეული გუნდიდან 4 მხედარი მონაწილეობდა. საქართველოს სახელით განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის მხოლოდ ორად-ორი პირველთანრიგოსანი მხედარი ვ. გოგლიძე და გ. ტატანაშვილი გამოდიოდნენ. გუნდური ჩათვლა ვერც აქ მივიღეთ. ვიქტორ გოგლიძემ ცხენ „ეპვეიანით" პირად პირველობაში მარშრუტი (ამორჩევით) გაიარა 71 წამში და 104 ქულა დაიმსახურა. აღმოჩნდა, რომ თბილისელმა 18 წლის მხედარმა თავისი შედეგით გაუსწრო 22-ე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნიკოლოზ კოროლკოვს, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გოგლიძე კრასნოდარში ჩამოსვლამდე მონაწილეობდა ლიეპაიას ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში, სადაც გახსნის პრიზზე მეხუთე ადგილი დაიკავა. იგი შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ჭაბუკ მხედართა უძლიერეს ათეულში. ესტონეთის სახელობის პრიზის გათამაშებაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა.

დაბრკოლებათა გადალახვაში (ნახტომის სიმძლავრეზე) გათამაშდა საკავშირო სპორტკომიტეტის პრიზი, რომელიც წილად ხვდა ლიტველ სპორტსმენს ს. რომასს.

1600 მეტრზე დოღში საქართველოს პრიზი მოიპოვა ყირგიზეთის სსრ-ის ისიყულის ცხენსაშენის მხედარმა ვლადიმერ გორბაჩოვმა, მისმა „გუსლიარმა" მანძილი დაფარა 1 წუთსა და 32,2 წამში. „სტიპლ-ჩეზში" სომხეთის სახელობის პრიზი მოიგო რსფსრ-ის წარმომადგენელმა მალოყარაჩაევსკის ცხენსაშენის მხედარმა მ. ტოკოვმა ცხენ „ისლამით". შეჯიბრების დასასრულს ყაზახმა ცხენოსნებმა უზბეკეთის მხედრებს მოუგეს თამაში „კოკპარი" და ამით დამთავრდა საკავშირო 25-ე საიუბილეო საცხენოსნო შეჯიბრება.

ყველაზე მეტი პრიზი (19) მოიპოვა რსფსრ-ს გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ყაზახი სპორტსმენები. მათვე მიიღეს პრიზების მეტი რაოდენობა ეროვნულ სახეობებშიც. საქართველოს ცხენოსანთა გამოსვლა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ამ სამწუხარო ფაქტს ობიექტური მიზეზების გარდა მოეძებნება სუბიექტური მიზეზებიც.

დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს გუნდი მარტო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის 4 პირველთანრიგოსანი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ეს სკოლა სულ ორიოდე წელია რაც არსებობს თბილისში. სკოლის აღზრდილებს, გამოუცდელობის გამო, ძალზედ გაუჭირდათ სსრ კავშირის უძლიერეს მხედრებთან ჭიდილი. ჩვენი რესპუბლიკის უფრო ძლიერ კოლმეურნე მხედართაგან კი ამ დიდ სპორტულ ზეიმში არავინ მონაწილეობდა. ამიტომ, დაბრკოლებათა გადალახვაში ქართველ მხედართა გამოსვლა არადამაკმაყოფილებელი და უფერული იყო. ლატვიის სახელობის პრიზის გათამაშებაში ჩვენს მხედრებს ცხენების დაშავების გამო მონაწილეობა არ მიუღიათ, პირად პირველობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაწილეობა მიიღეს, ისიც სამარქაფო ცხენებით, მხოლოდ პირველთანრიგოსანმა ვ. გოგლიძემ და გ. ტატანაშვილმა. ეს გახლდათ ესტონეთისა და საკავშირო სპორტკომიტეტის სახელობის პრიზის გათამაშება, ლიტვის სახელობის პრიზის გათამაშებაში მონაწილეობაზე მწვრთნელმა მ. ტატიშვილმა თავიდანვე უარი განაცხადა.

რაც შეეხება ჩვენი მხედრების გამოსვლას სადა დოღში, ისინი ვერც 1600 მეტრზე, საქართველოს სახელობის პრიზზე და ვერც 1800 მეტრზე აზერბაიჯანის პრიზის გათამაშებაში ვერ მოხვდნენ საპრიზო ადგილებზე.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ? საქართველოს ცხენოსანთა ნაკრები გუნდი ნაჩქარევად იყო დაკომპლექტებული. ამისათვის კი თავის დროზე უნდა ეზრუნათ თბილისის სახელმწიფო იპოდრომის მესვეურებს. დაკარგულ დიდებას ერთი ხელის დაკვრით ვერ დაიბრუნებ. საჭირო იყო მეტი გულისყურის გამოჩენა სპორტსმენთა შერჩევისას. არც ყულარის ცხენსაშენია იმედისმომცემი საკავშირო სარბიელზე, რაც მეტად დამაფიქრებელია.

თ. ქიქავა,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ქ. კრასნოდარი.

• • •

სურათზე: კრასნოდარის იპოდრომზე ერთმანეთს ხვდებიან ცხაკაიასა და ჩოხატაურის ცხენბურთელები.

ავტორის ფოტო.

ქართული სპორტი უკრაინის „სტარტის" ფურცლებზე

ყოველთვიურ სპორტულ ჟურნალ „სტარტის" (იგი კიევში უკრაინულ ენაზე გამოდის) უკანასკნელ, მე-9 ნომერში რუბრიკით „სსრ კავშირის 60 წლის თავი" გამოქვეყნებულია ვრცელი წერილი სპორტულ საქართველოზე, რომელშიც მოთხრობილია ქართული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელოვან გზაზე — რომში, მარსის მოედანზე — ძველი იბერების ცხენოსანთა გამოსვლებიდან დღემდე.

მარტო ჩვენი საუკეთესო ათლეტების გვარების ჩამოთვლაც კი მიგახვედრებთ, რომ ეს არის მოთხრობა იმ სპორტულ ცხოვრებაზე, რომელსაც დიდი ქართული სპორტი ჰქვია: გიორგი ნიკოლაძე და ლადო კავსაძე, და-ძმანი ჯაფარიძეები, გიორგი შხვაცაბაია და გულო რცხილაძე, ნინო დუმბაძე და ელენე გოკიელი, შოთა შავგულიძე და ბორის პაიჭაძე, კონსტანტინე კობერიძე, შალვა გორგასლიძე და ლევან ღუდუშაური, მაია ჟღენტი და ოთარ ქორქია, ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია, რობერტ შავლაყაძე და ვიქტორ სანეევი, მაია ჩიბურდანიძე და ნონა გაფრინდაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია, ლევან თედიაშვილი და შოთა ჩოჩიშვილი, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია... ჟურნალის ფურცლებზე თითქოს ერთხელ კიდევ განმეორდა მათი სახელოვანი ბრძოლების პერიპეტიები.

წერილს, რომლის ავტორია სპორტული ჟურნალისტი ო. ნოზაძე, თან ახლავს ფოტორეპორტიორ ვ. გენგიურის მიერ გადაღებული საინტერესო ფოტოსურათები.

ა. ზენკო.

ПРАВОФЛАНГОВІ СПОРТИВНОЇ ГРУЗІЇ

პირველი მატჩის წინ

18 ოქტომბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საბჭოთა გუნდი მიიღებს ფინეთის ნაკრებს. ესაა საბჭოთა ფეხბურთელთა პირველი მატჩი ამ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ნ. სიმონიანმა საქდესის კორესპონდენტს აცნობა, რომ ამ მატჩისათვის ემზადებიან ჩვენი ნაკრების შემდეგი ფეხბურთელები: **მეკარეები** — დასაევი, ვიქ. ჩანოვი, **მცველები** — დემიანენკო, ლოზინსკი, ჩივაძე, ბოროვსკი, **საშუალო და წინა ხაზების** მოთამაშეები — როდიონოვი, შვეცოვი, ბალტაჩა, ბესონოვი, ბურიაკი, ბალი, ევტუშენკო, შენგელია, ოჰანესიანი, ანდრეევი. გუნდს ხელმძღვანელობს ვ. ლობანოვსკი.

ევროპის ჩემპიონატი

პორტუგალია — პოლონეთი 2:1

ლისაბონი. 10 ოქტომბერს აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში პორტუგალიისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

მატჩი დამთავრდა პორტუგალიელთა გამარჯვებით — 2:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ნენემ და გომეშმა, ხოლო პოლონელთა მხრივ — იანასმა.

II შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიელებს ახლა 2 ჩატარებული მატჩის შემდეგ 4 ქულა აქვთ. პოლონელებმა 2 მატჩში აიღეს 2 ქულა. ფინეთის გუნდმა წააგო ორივე შეხვედრა, ხოლო საბჭოთა ფეხბურთელები გათამაშებას იწყებენ 13 ოქტომბერს.

• • •

ლუქსემბურგი. III შესარჩევ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ ლუქსემბურგისა და საბერძნეთის გუნდები (ამავე ჯგუფში გამოდიან ინგლისის, დანიისა და უნგრეთის ფეხბურთელებიც). თამაში მოიგეს ბერძნებმა — 2:0.

მოკლედ

სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ბრაუნსბერგში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა გდრ-ის გუნდთან. ფრე — 1:1. სტუმართაგან ბურთი 47-ე წუთზე გაიტანა გესმა.

პორტუგალიის ქალაქ ფაროში შედგა ახალგაზრდული გუნდების (21 წლამდე) ევროპის ჩემპიონატის მატჩი პორტუგალიისა და პოლონეთის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა — 1:0.

გდრ-ის ქალაქ ნოიბრანდენბურგში დასრულდა ჭაბუკ ფეხბურთელთა (18 წლამდე) საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა გუნდმა ბოლო შეხვედრა ფრედ დაამთავრა უნგრელ თანატოლებთან — 1:1 და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე არიან პოლონეთისა და უნგრეთის კოლექტივები.

I ლიგა

10 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 2 კალენდარული მატჩი: ასკ (ხაბაროვსკი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ასკ-„[illegible]ვი) 2:0.

8 **ოქტომბერს** გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 34-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი **ო. მურვანიძე** გვატყობინებს ბათუმის „დინამოსა" და ოქტემბერიანის „სპარტაკის" შეხვედრის შესახებ:

ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის დასაწყისი აღინიშნა სპარტაკელთა უპირატესობით, რომლებსაც ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ (ოვაკიმიანი), მაგრამ დინამოელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და შესვენების შემდეგ იერიშზეც გადავიდნენ. ამ პერიოდში მათ ითამაშეს დიდი მონდომებით, აქტიურად.

62-ე წუთზე „სპარტაკის" მცველებმა უხეშად წააქციეს გოგიტიძე — დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად დაარტყა გორგილაძემ — 1:0. დინამოელებს ამის შემდეგაც სრული ინიციატივა ეპყრათ ხელთ, რაც 79-ე წუთზე დამთავრდა მახარაძის მიერ გატანილი მეორე გოლით — 2:0.

სხვა მატჩები: „კოლხეთი" (ფოთი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 3:0, „დინამო" (სოხუმი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 3:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი)— „არაზი" (ნახიჩევანი) 7:0, „ოლიმპია" (ერევანი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 3:4, „ქიაფაზი"

II ლიგა

(კიროვაბადი) — „დილა" (გორი) 4:6, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:0.

• • •

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა 14 აგვისტოს ტურიდან გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და აშხაბადის „კოლხოზჩის" შორის.

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს უგრელიძემ და ჯაკობიამ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ტ. სანტანა გადადგა

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ტელე სანტანა გადადგა. კონტრაქტი კონფედერაციასთან დადებული იყო წლის ბოლომდე, მაგრამ სანტანას განზრახული აქვს უკვე ოქტომბერში დაარღვიოს იგი.

ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა მიაკითხეს თვით ტ. სანტანას. მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს სათავეში ჩაუდგეს საუდის არაბეთის ერთ-ერთ კლუბს.

ტ. სანტანა ახლა 51 წლისაა. ბრაზილიის ნაკრებთან მუშაობდა 1980 წლის ზაფხულიდან, მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე, გასულ მსოფლიო ჩემპიონატზეც შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ წააგეს მსოფლიო ჩემპიონებთან — იტალიელებთან (2:3).

„ელ კომერსიოს" ცნობით

კოლუმბიის გაზეთი „ელ კომერსიო" იტყობინება, რომ აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა ჩრდილოეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე და მალულად 12 მილიონი დოლარი შესთავაზა კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციას, რომ მან უარი განაცხადოს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე.

მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში აშშ-ს ფედერაციას დიდი შანსები აქვს ჩაატაროს ეს ღონისძიება. ყურადღებას აქცევენ ერთ გარემოებასაც: თუმცა, ასეთივე პრეტენზია აქვს ბრაზილიასაც, მაგრამ პელე აგიტაციას ეწევა, რათა ჩემპიონატი აშშ-ში ჩატარდეს.

● ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატის გაკვეთილები

ისეთ დიდ საფეხბურთო შეჯიბრებაში, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატია, გუნდი წარმატებას ვერ მიაღწევს თუ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არა ჰყავს. ტექნიკა იყო, არის და იქნება ექსტრა-კლასის ფეხბურთის უპირველესი ატრიბუტი. ისტორიას ჯერ არ ახსოვს გამოჩენილი ფეხბურთელი, რომელსაც ტექნიკა და ბურთის ფლობა სხვებზე უფრო სრულყოფილად არა ჰქონდეს ათვისებული. გამოჩენილი ფეხბურთელი, უპირველეს ყოვლისა, ვირტუოზია. ტექნიკა, ფაქტიურად, ვირტუოზობაა. და რახან ეს ასეა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატზე სხვებს შესამჩნევად ჩამორჩებოდნენ სწორედ ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით, ე. ი. ბურთის ვირტუოზული ფლობის დონით.

მიჩნეულია, რომ საბჭოთა ფეხბურთში ყველაზე ტექნიკური მოთამაშეები ჰყავს თბილისის „დინამოს", კიევის „დინამოს", ერევნის „არარატს", და, ნაწილობრივ, მოსკოვის „სპარტაკს". რა გვაჩვენა მსოფლიო ჩემპიონატმა? გვაჩვენა ის, რომ ტექნიკური მომზადებით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდით ბრაზილიელებს, იტალიელებს, არგენტინელებს, დასავლეთგერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ნაკრებში კი სწორედ კიეველები, თბილისელები ერევნელები და სპარტაკელები გამოდიოდნენ. საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში, ჩვენს სხვა გუნდებთან შედარებით, ისინი საკმაოდ მაღალი, კვალიფიციური ტექნიკით გამოირჩევიან, იქ კი, მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების ფონზე, ნამდვილ ტექნიკურ ოსტატებთან უშუალო შეხვედრებში ნათლად გამოჩნდა თუ სინამდვილეში რა ფასი აქვთ ჩვენს საუკეთესო „ტექნიკოსებს".

მაგრამ ტექნიკაც არის და ტექნიკაც. ვირტუოზობა თანამედროვე გაგებით ესაა ბურთის ფლობის უმაღლესი კლასი, ტექნიკური ილეთების უნაკლო შესრულება სწრაფ მოძრაობაში, ტემპში, მეტოქესთან უშუალო ბრძოლაში. როცა ფეხბურთელი ასეთ პირობებში ვერ ფლობს ბურთს, იგი არსებითად არაა ტექნიკოსი. ვინც ნელ ტემპში, „დინჯად", სისწრაფის გარეშე თამაშობს, იგი ტექნიკურ ფეხბურთელად არ ითვლება. საჭიროა სისწრაფე, მხოლოდ სისწრაფე, ტემპი, მოძრაობა, უამისოდ არავითარი ფასი არა აქვს ბურთის მიღებას, დამუშავებას, გადაცემას, დრიბლინგს, თავით თამაშს. ტექნიკა — ტექნიკისთვის, დრიბლინგი ადგილზე და სხვა მისთანანი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს მოწინავე გუნდებში და თვით ნაკრებშიც კი ბევრი ფეხბურთელი ადგილს იმკვიდრებს უმთავრესად ათლეტური მომზადების ხარჯზე. მათი ალფა და ომეგა მარტივია: ურტყი და ირბინე!

საფეხბურთო ტექნიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია კარში დარტყმა, რომელიც თავისთავად კომპლექსურ ნაირთს წარმოადგენს და მრავალ ილეთს მოიცავს. ჩვენმა ნაკრებმა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე 5 მატჩი ჩაატარა და სულ 7 ბურთი გაიტანა. ცოტაა ეს თუ ბევრი? რა თქმა უნდა ცოტაა, ძალიან ცოტა და თუ გავიხსენებთ გადამწყვეტ მატჩს პოლონეთის ნაკრებთან, იქ ჩვენს თავდამსხმელებს, როგორც გვახსოვს, საერთოდ არც ერთხელ არ დაურტყამთ კარში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენი ფეხბურთელები ვერ ფლობენ კარში დარტყმის ტექნიკას? რა თქმა უნდა, ნიშნავს.

ანდა, ავიღოთ თავით თამაშის ტექნიკა. ყოველი მატჩის დაახლოებით 30 პროცენტი თავით თამაშზე მოდის, მას, ვინც კარგად თამაშობს თავით, მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ბრძოლის დროს და შეუძლია ბევრი ტაქტიკური ამოცანა დაძლიოს ისე, რომ მეტოქემ სათანადო წინააღმდეგობაც ვერ გაუწიოს მას.

ჩამორჩებოდით თუ არა თავით თამაშის ოსტატობით ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე? აშკარად ჩამორჩებოდით.

ფეხბურთის ტექნიკაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მაგრამ მთავარი ესაა: სანამ არ დავძლევთ ჩამორჩენას ამ დარგში, სანამ არ გავუტოლდებით ბრაზილიის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინის, საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ვირტუოზებს, რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მოვიპოვებთ.

შესაძლოა, ჩვენი მსჯელობა ზოგიერთს მშრალ რიტორიკად მოეჩვენოს, მაგრამ უთქმელობა და შემჩნეულ ნაკლოვანებათა მიჩქმალვა კარგს არაფერს მოგვიტანს. მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საკავშირო პრესაში გაცხოველებული პოლემიკა გაიმართა ჩვენი ნაკრების შედეგების თაობაზე, ბევრი უარყოფითი მხარე გამომზეურდა, მრავალი მართებული შენიშვნა გამოითქვა, მაგრამ შეცდომის დანახვა, ნაკლოვანების შემჩნევა და მხილება ეს ერთი საქმეა, იმის შესახებ კი, თუ როგორ და რა უნდა გაკეთდეს სამერმისოდ პრაქტიკული რჩევა-დარიგების თვალსაზრისით, სპეციალისტები ჯერ კიდევ ჩუმად არიან. როგორც ჩანს, მათ არა აქვთ კონკრეტული, საქმიანი სათქმელი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესაბამისი ორგანიზაციები გარკვეულ ზომებს მიმართავენ და გზებსაც დასახავენ, თორემ როგორ შეიძლება წლიდან წლამდე ერთიდაიგივე, მოძველებული წესით მუშაობა, მით უმეტეს, როცა მას სასურველი შედეგი არ მოაქვს!

რას წარმოადგენს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები, რას ემსახურება იგი? უმთავრესი ამოცანაა უძლიერესი გუნდების გამოვლენა, საფეხბურთო იერარქიის პერიოდული დადგენა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატს აქვს კიდევ ერთი დიდი და უაღრესად სერიოზული ფუნქცია: სწორედ აქ უნდა განისაზღვროს თანამედროვე ფეხბურთის განვითარების უმთავრესი, მაგისტრალური მიმართულება. ყოველმა ახალმა მსოფლიო ჩემპიონატმა თავი უნდა მოუყაროს იმ ახალს და პროგრესულს, რითაც კი მდიდრდება თანამედროვე ფეხბურთი.

მსოფლიო ჩემპიონატები, როგორც იცით, იმართება გარკვეული ციკლით, ყოველი 4 წლის პერიოდულობით. დროის ეს მონაკვეთი მცირე როდია. 4 წლის მანძილზე სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება ახალი საფეხბურთო მიმდინარეობანი, იბადება თამაშის ახალი იდეები, მათი მეოხებით სულ წინ და წინ მიდის ეს მარადიული თამაში. საუკეთესო მწვრთნელები, უძლიერესი მოთამაშეები, წამყვანი კლუბები და ეროვნული გუნდები — ეს ის შემოქმედი ძალაა, რომელიც დღენიადაგ ამდიდრებს ფეხბურთს, ახალი გზით მიჰყავს იგი წინ ახალი მწვერვალებისკენ.

ასეთი ევოლუცია ერთბაშად არ ხდება. ნოვაციები, პროგრესული იდეები გროვდება, იხვეწება, ათასნაირად მოწმდება და მერე ახალი, სრულყოფილი ფორმით ვლინდება მსოფლიო ჩემპიონატებზე.

მივყვებით თუ არა ჩვენ კვალში ამ საფეხბურთო ევოლუციას? არა! ჯერ კიდევ ჩამორჩებით და უმთავრესად მიმბაძველების, ეპიგონების მოკრძალებული როლით ვკმაყოფილდებით.

1958 წელს პირველად მივიღეთ მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში. მაშინ „დუბლ-ვეს" სისტემის გარდა არაფერი ვიცოდით და მხოლოდ შვეციის სტადიონებზე შევიტყეთ, რომ ბრაზილიელებს, თურმე, სულ სხვაგვარი, ახლებური სისტემა შეუმუშავებიათ (4-2-4), რომლის შესახებ წარმოდგენაც არა გვქონდა.

ასე ხდებოდა შემდგომ წლებშიც, მხოლოდ უშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატებზე ვეცნობოდით ახალ სისტემებს (4-3-3, 4-4-2), ბოლოს კი ისევ სხვათა შესრულებით შევიტყეთ, რომ არის განთქმული ჰოლანდიური ტოტალური სისტემა, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა თანამედროვე ფეხბურთში.

ამით იმის თქმა კი არ გვსურს, თითქოს ჩვენი მწვრთნელები გულხელდაკრეფილნი სხედან და „ამერიკის აღმოჩენას" მხოლოდ უცხოეთში მივლინების დროს შეიტყობენ ხოლმე. ჩვენს მწვრთნელებს მ. ბუტუსოვს, ბ. არკადიევს, მ. იაკუშინს, ვ. მასლოვს და სხვებს ბევრი ტაქტიკური სიახლე აქვთ შემუშავებული და დანერგილი, ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების შესრულებით ბევრი რამ საინტერესო გვინახავს. თითქმის ოთხი ათეული წლის წინ მოსკოვის არმიელები გაორმაგებული თავდასხმის ცენტრით თამაშობდნენ, მოსკოვის დინამოელებს ჰქონდათ ორი ცენტრალური მცველის თავისებური საინტერესო ვარიანტი.

ეგ რაა—1939 წელს თბილისის „დინამომ" თავდამსხმელთა შორის ადგილების ცვლა შემოიღო და მისი ნათელი დემონსტრაცია მოახდინა ცდკა-სთან მატჩში. ის ისტორიული თამაში, ჩვენი აზრით, ახლანდელი ტოტალური ფეხბურთის შორეული ჩანასახი იყო.

ბრაზილიის ნაკრების მცველთა რეგულარულმა მონაწილეობამ მეტოქეთა კარის იერიშებში 1958 წელს მთელი მსოფლიო აალაპარაკა, მანამდე კი თბილისის „დინამოს" მცველი ვ. ელოშვილი სისტემატურად ასრულებდა ასეთ რეიდებს საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში.

მაგრამ ჩვენ თუ ვლაპარაკობთ ფეხბურთის ახალ მიმართულებებზე, კარდინალური ხასიათის ძვრებზე, ახალი მყარი ტაქტიკური სისტემების შექმნაზე, აქ კი უნდა ვაღიაროთ, რომ პრინციპულად ახალი რამ არ შეგვითავაზებია საერთაშორისო ფეხბურთისთვის, რომ უმთავრესად სხვათა ნაწყალობევს ვჯერდებით.

XII მსოფლიო ჩემპიონატს ტაქტიკის თვალსაზრისით კონკრეტულად ახალი, განსხვავებული სისტემა არ შეუქმნია და ტოტალური ფეხბურთის პირობებში, ჩვენი აზრით, ძნელიცაა რაიმე ახალი გამოძებნო მოთამაშეთა განლაგებასა თუ ურთიერთმოქმედებაში, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოწინავე საფეხბურთო ქვეყნები ესპანეთში გამოირჩეოდნენ შეტევისა და დაცვის უაღრესად გაწონასწორებული, ბალანსირებული რგოლებით. უმაღლესი კლასის ვარსკვლავთა ინდივიდუალური ოსტატობა ახლა დამორჩილებულია კოლექტივიზმის სავალდებულო პრინციპებს, მათი პროდუქციულობა კომბინაციურ თამაშზეა დამყარებული. ვგონებთ, ერთადერთი მხოლოდ არგენტინელი მარადონა იყო, რომელსაც საკუთრივ, სეპარატულად სურდა გადაეჭრა მინდორზე წარმოქმნილი რთული საფეხბურთო პრობლემები და ამიტომაც სრული ფიასკო განიცადა. უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ახლა ისაა, ვინც თავის ინდივიდუალურ თვისებებს და მონაცემებს მაქსიმალურად უხამებს და უქვემდებარებს კოლექტივს.

ტაქტიკური თვალსაზრისით ჩვენ არც ცალკეული ფეხბურთელებით გამოვირჩეოდით ესპანეთში, არც მთლიანად ნაკრებით. იტალიელები, ფრანგები და სხვები მსოფლიო ჩემპიონატზე ნამდვილ აღმაფრენას, ექსტაზს განიცდიდნენ, ჩვენს გუნდს კი მსგავსი რამ არ ჰქონია. ნახევარფინალში, ისევე როგორც ჩვენ, ვერ მოხვდნენ ბრაზილია, ინგლისი, არგენტინა, მაგრამ მათი თამაში გაცილებით სანახაობრივი, შთამბეჭდავი იყო, ვიდრე ჩვენი.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე აშკარად მეფობდა შემტევი ფეხბურთი. წარმატებას მიაღწიეს იმ გუნდებმა, რომლებიც მოწინააღმდეგის კართან იძებდნენ თავიანთ ბედს. ჩვენმა მწვრთნელებმა კი ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩში პოლონელებთან ხუთი მცველი გამოიყვანეს მინდორზე და მერე გულდაგულ გვარწმუნებდნენ ეს მეხუთე მცველი შემტევ მოთამაშედ შემოვიყვანეთ გუნდში, მას მხოლოდ საიერიშო ფუნქციები ეკისრებოდაო.

ასეთი მტკიცებით, უდავოა, ჩვენი შეცდომაში შეყვანა სურდათ, მაგრამ ყველამ, ვისაც რამე ურთიერთობა აქვს ფეხბურთთან, კარგად იცის სადაცაა დამარხული ძაღლის თავი და რატომ გამოიყვანეს მინდორზე მეხუთე მცველი: შიშობდნენ, ზედმეტად ფრთხილობდნენ და მხოლოდ ამიტომ.

ელემენტარული ჭეშმარიტებაა: მცველი უპირველეს ყოვლისა მცველია და წინა ხაზზე იგი მხოლოდ ეპიზოდურად, იმ შემთხვევაში თუ გადაინაცვლებს, როცა სამისო შესაძლებლობას შექმნის გუნდი და მომენტიც ხელსაყრელია. ამიტომ განა უფრო ლოგიკური არ იყო პოლონელებთან მატჩში შეეჩიათ შუა ხაზის მოერიშე მოთამაშე და მცველის ფუნქციების შესრულება მისთვის დაევალებინათ საჭირო ვითარებაში?

ცხადია, ასეთი პასიური, ზედმეტად ფრთხილი, დაცვითი ტაქტიკით მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებას ვერ მივაღწევდით და აკი ვერც მივაღწიეთ.

ე. ი. ჩამორჩებოდით ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით, ჩამორჩებოდით ტაქტიკურადაც, არც ფიზიკური მომზადებით ვბრწყინავდით და, გვაკლდა მონდომებაც! მაშ რითი უნდა გავემარჯვა ესპანეთში?

ერთი კი სწორი თქვა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა: „გუნდმა ისე ითამაშა, როგორც შეეძლო". ჩვენც ამ აზრისა ვართ —მეტი ჩვენს ნაკრებს არ შეეძლო.

სხვათა შორის, ყურადღება მიიპყრო „ფუტბოლ-ჰოკეიში" (№ 35) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ნაუმოვის მიერ გამოქვეყნებულმა წერილმა, სადაც იგი წერს: „ვფიქრობ, ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა ზუსტად თავისი ძალების შესატყვისად. უკეთესად თამაშის საშუალება მას არ მისცეს უფრო ძლიერმა მეტოქეებმა, შემდეგ კი შიშმა შედეგის მიმართ, შედეგს კი ჩვენში უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე თამაშს".

რამდენიმე სპეციალისტმა გამოთქვა აზრი, რომ შარშან შემოდგომაზე, შესარჩევი თამაშების პერიოდში, სსრ კავშირის ნაკრები უფრო ძლიერად გამოიყურებოდა, ვიდრე წლეულს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. შეიძლება, ეს ასეც იყო, მაგრამ განა შეიძლება შესარჩევი ჯგუფისა და ფინალის შედარება? აქ, მეორე ეტაპზე, გაცილებით უფრო ძლიერ მეტოქეებთან გვაქვს საქმე, უფრო მაღალი დონის, რთული ფეხბურთია. გარდა ამისა, ნაკრებს დიდი დაასვა დ. ყიფიანის წასვლამ ფეხბურთიდან, ვ. ბურიაკის, ვ. ხიდიატულინისა და ვ. გუცაევის ტრავმებმა.

სწორედ აქ უნდა ვთქვათ, რომ მაღალი კლასის, ძლიერი მოთამაშეები ჩვენს ფეხბურთში თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ, საკმარისია ვინმეს რამე დაემართოს, რომ მის ტოლფასოვან შემცვლელს ვერ იშოვი. ყიფიანი — ყიფიანია, მაგრამ ხიდიატულინი რა ისეთი შეუცვლელი ფიგურაა, რომ მის ნაცვლად სხვა ხეირიანი ფეხბურთელი ვერ გამოინახა? სამწუხაროდ, დღეს არა გვყავს ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ცოტა გვყავს ისეთი მაღალი კლასის მოთამაშეები, გუნდში ამინდის შექმნა რომ შეეძლოთ, ავტორიტეტი რომ ჰქონდეთ საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენს ფეხბურთში, სამწუხაროდ, გამეფებულია საშუალო ფეხბურთელის კულტი, იმ საშუალო ფეხბურთელისა, რომელსაც ყველაფერი „სამიანზე" ეხერხება და მეტისა არც ნიჭი აქვს, არც პრეტენზია. მწვრთნელისთვის ადვილია საშუალო ფეხბურთელთან მუშაობა: იგი ყველაფერს დაგიჯერებს, მორჩილად შეგისრულებს დავალებას, არც ჭირვეულობს, არცა აქვს უნარი რაღაც ახალი სიურპრიზი შემოგთავაზოს თამაშში. მას ტაქტიკური მოსაზრების უნარიც არ შესწევს, აზრადაც არ მოუვა დაარღვიოს მწვრთნელის დოგმატური მოთხოვნილებები.

აი, „ვარსკვლავები" კი ხშირად ჭირვეული ხალხია, ზოგჯერ — დაუჯერებელი, თავნება, საკუთარ ნიჭს აყოლილი, ამიტომ მათთან მუშაობა გაცილებით ძნელია. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ ეს ვარსკვლავები ქმნიან დიდ ფეხბურთს, სწორედ მათ შემოაქვთ ის სიახლე, რაც მიუწვდომელი რამაა საშუალო კლასის, ტრივიალური მოთამაშეებისთვის. ვარსკვლავებთან ურთიერთობისას მწვრთნელს ბევრი სიძნელის გადალახვა უხდება, მაგრამ სხვაგვარად ვერც გაზრდი სუპერ-ფეხბურთელს, გამოჩენილ ოსტატს. საქმე მარტო ის არაა, რომ ექსტრა-კლასის მოთამაშეებს გამარჯვებები და ქულები მოაქვთ თავიანთი გუნდებისთვის. ეს თავისთავად. მთავარია ის, რომ ასეთი ფეხბურთელები დიდ სიხარულსა და ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებენ მაყურებლებს, ეს კი ყველაფერია. უმაღლესი კატეგორიის ფეხბურთი, რომელიც დიდ აუდიტორიას იკრებს სტადიონებზე, განკუთვნილია ხალხისთვის, მაყურებლებისთვის.

მწვრთნელის მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის ერთ-ერთი აუცილებელი, უტყუარი პირობაც სწორედ ისაა, რომ მონახოს და აღზარდოს ამგვარი უნიკალური ტალანტები, დაძლიოს მათთან ურთიერთობისას წარმოქმნილი კონფლიქტები და დიდ ფეხბურთში გზა მისცეს ახალ ოსტატებს, შეაჩვიოს ვარსკვლავი სწორ ტაქტიკურ თამაშს. დაუმორჩილოს კოლექტივიზმის პრინციპებს (გაიხსენეთ ანდრო ჟორდანია). ჩვენში ასე არ ხდება. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ ოციოდე წლის წინათ ნაკრების ხელმძღვანელობამ (მას მაშინაც კ. ბესკოვი ედგა სათავეში) გუნდში არ მიიწვია მ. მესხი, რადგან ვერ მოურგო მას გასაღები და ამ სწორუპოვარ ფეხბურთელს ამჯობინა საშუალო მოთამაშე გ. ჰუსაინოვი, რომელსაც მარტოოდენ ის ღირსება ჰქონდა, რომ უფრო დამჯერი და მორჩილი იყო, პირნათლად ასრულებდა მწვრთნელის მითითებებს და კეთილსინდისიერად იხევდა ხოლმე დაცვაში.

საშუალო მოთამაშის ხარჯზე ჯერ არც ერთ გუნდს არ შეუქმნია დიდი ფეხბურთი, ასეთები, როგორც წესი, უკვალოდ ქრებიან ხოლმე. ზემოთქმული ისე არ გაგვიგონ, თითქოს მწვრთნელები უნდა ეცადონ მთლიანად ვარსკვლავებით დააკომპლექტონ გუნდი. ასეთი რამ საფეხბურთო პრაქტიკაში არ ხდება, ან სადაა ამდენი გამოჩენილი ოსტატი, მაგრამ აქცენტი შეძლებისდაგვარად უნდა გაკეთდეს ექსტრა-კლასის ფეხბურთელებზე, ესაა წამყვანი ძალა, საშუალო მოთამაშეები კი მათ ეხმარებიან, ხელს უწყობენ მონოლითური ანსამბლის შექმნაში. შორს წასვლა რად გვინდა, ბოლო წლების თბილისის „დინამო" სწორედ ასეთი კოლექტივია, მისმა შედეგებმა კი კონტინენტალურ მასშტაბებს მიაღწია.

მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების სუსტი გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ მას არა ჰყავს საერთაშორისო მასშტაბის, აღიარებული ფეხბურთელები, ნამდვილი გროსმაისტერები.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ზ. ქორქია,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 193.

● საქართველოს პირველობა ძიუდოში

ლენტეხის ტატამზე

ჩვეულებრივ, თუ იცი რომელ ქალაქში ან სოფელში აიდგა ფეხი ამა თუ იმ სახელოვანმა სპორტსმენმა, საიდან მოვიდა დიდ სპორტში, ისიც გეცოდინება თუ როგორაა იმ ქალაქში თუ სოფელში განვითარებული სპორტის ესა თუ ის სახეობა. თავისი თანაქალაქელისა თუ თანასოფლელის წარმატებით აღფრთოვანებული მოზარდები დიდი ხალისით ეწერებიან სექციებში, გულმოდგინედ ვარჯიშობენ და ისეც ხდება, რომ შემდგომში ჯობნიან კიდევაც თავიანთ კერპებს. იქ, სადაც სამაგალითო ჰყავთ, ყოველთვის კარგი ტრადიციები არსებობს.

კარგად იყო ორგანიზებული იუნიორ ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობა, რომელიც ამ დღეებში ლენტეხში ჩატარდა.

— სვანეთის რაიონებს მუდამ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ძიუდოს განვითარების საქმეში. საკმარისია გავიხსენოთ ტატამის შესანიშნავი ოსტატი ჯიბილო ნიჟარაძე, ოლეგ ზურაბიანი, ბერდია გუგავა, დილარ ხაბულიანი და სხვები. — თქვა საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ტ. ჩუთლაშვილმა.— მაგრამ ბოლო წლებში ამ რაიონებიდან რეზერვებმა საგრძნობლად იკლო. არსებული ჯგუფები, რომლებიც არცთუ ნორმალურ პირობებში ვარჯიშობენ, დახმარებას საჭიროებენ. სასურველია, რომ სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა ყურადღება მიაქციონ ჯგუფების რაოდენობის გაზრდასა და ვარჯიშისთვის პირობების გაუმჯობესებას, რათა აღსდგეს ისეთ სპორტსმენთა მომზადების ტრადიციები, რომლებიც შემდგომში წარმატებით გამოვლენ საერთაშორისო სარბიელზეც. აქ დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ კვალიფიციური მწვრთნელები ბ. გეგავა, მ. გარდაფხაძე და სხვები, რომლებიც თავისებური ხელწერით გამოირჩევიან ახალგაზრდა სპორტსმენთა შერჩევისა და დახვეწის საქმეში.

მიუხედავად იმისა, მოსავლის აღების გაცხარებული დღეებია, არა მარტო ლენტეხის, არამედ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლებმა გამოძებნეს დრო იმ ასპარეზობაზე დასასწრებლად, რომელიც ნამდვილ ზეიმად იქცა. მაგრამ რომელი სპორტული ზეიმი ჩატარებულა სიურპრიზების გარეშე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა საკავშირო XVI სპარტაკიადის ჩემპიონები ქუთაისელი ა. გუბელაძე („დინამო“, მწვრთნელი ო. მერაბიშვილი) და თბილისის „კოლმეურნეს“ წარმომადგენელი დ. ვარძელაშვილი (შ. მელაძე), რესპუბლიკის ჩემპიონები ზ. ფარქოსაძე (ასკ, თბილისი, ო. ნათელაშვილი) და ე. ჯანგირაშვილი („განთიადი“, თბილისი, ო. წიკლაური) და სხვა ტიტულოვანი იუნიორები. თუ მათი გამარჯვებები მოულოდნელი არ იყო, სენსაციური გახდა ეგრეთ წოდებული თვითნაბადი ტალანტების აღმოჩენა. მინდა აღვნიშნო 18 წლის ტარიელ ლიპარტელიანი, რომელსაც კიმონო შეჯიბრების დღემდე არ მიუზომებია. იგი ისევე მშვიდად და დაჯერებულად გრძნობდა თავს კიმონოში, როგორც ჩოხაში (იგი რესპუბლიკის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, მწვრთნელი მ. მუსელიანი) და შეუჩვეველ ტატამზე მხოლოდ ფინალში წააგო. ძიუდოში ვარჯიშის შედარებით მეტი სტაჟი (12 თვე) ჰქონდა 17 წლის მირანგულ გუგავას (იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატია მეკლდეურობაში), რომელმაც ასევე ჩინებულად იასპარეზა და დაამარცხა უფრო გამოცდილი ძიუდოისტები. იგი მესამე პრიზიორი გახდა. ლენტეხის გუნდი საპატიო მეორე ადგილზე გავიდა და რაიონის ხელმძღვანელობამ დააყენა საკითხი სპორტული დარბაზის მშენებლობისა და ძიუდოს სპეციალიზებული სკოლის გახსნის თაობაზე, რათა რესპუბლიკის სპორტული ცხოვრება გაამდიდრონ პერსპექტიული სპორტსმენებით.

შესამჩნევად დათმეს პოზიციები გორის, ზესტაფონის, რუსთავის, დუშეთის, გარდაბნის გუნდებმა, რომლებიც შესაძლებლობაზე ცუდად გამოვიდნენ, სტაბილურად იასპარეზეს სოხუმის, თელავისა და ლენინგორის წარმომადგენლებმა. აიმაღლა ოსტატობა სოხუმელმა ე. გერლიანმა („დინამო“, მწვრთნელი რ. მაისურაძე), ს. კაბაჩენკომ (ო. ნატროშვილი), ნ. დავითაშვილმა (ბ. მაზიაშვილი) (ორივე — „ბურევესტნიკი“, თბილისი), მაგრამ ზოგიერთი სპორტსმენი ჩამორჩება საკავშირო კონდიციებს.

ლენტეხში გამართულმა შეჯიბრებამ გამოავლინა არა მარტო ადგილობრივი ნიჭიერი ახალგაზრდები, არამედ დიდი როლი შეასრულა სპორტის ამ სახეობით ახალგაზრდების დაინტერესებაში.

ტექნიკური შედეგები:

60 კგ. ქ. ილურიძე („კოლმეურნე“, დუშეთი), ტ. ლიპარტელიანი („კოლმეურნე“, ლენტეხი), მ. გუგავა („დინამო“, ლენტეხი), ე. გერლიანი („დინამო“, სოხუმი).

65 კგ. გ. ბაგაური, ე. ჯანგირაშვილი (ორივე — „განთიადი“, თბილისი), თ. არაჰამია („დინამო“, სოხუმი), ს. კაბაჩენკო („ბურევესტნიკი“, თბილისი).

71 კგ. დ. თევდორაძე („დინამო“, ქუთაისი), ს. მუკბანიანი („კოლმეურნე“, ლენტეხი), ზ. ფარქოსაძე (ასკ, თბილისი), ნ. მესაბლიშვილი („კოლმეურნე“, თბილისი).

78 კგ. გ. ბუჯიაშვილი, ხ. ბოჭორიძე (ორივე — „განთიადი“, თბილისი), ბ. ბოლოთაევი (თელავი), მ. გუგავა („დინამო“, ლენტეხი).

86 კგ. ნ. დავითაშვილი („ბურევესტნიკი“, თბილისი), გ. ჯანგურიძე („დინამო“, ლენტეხი), ა. ხარაიშვილი („დინამო“, ქუთაისი), მ. მანუკოვი (თელავი).

95 კგ. დ. ვარძელაშვილი („კოლმეურნე“, თბილისი), დ. ხოდელი („დინამო“, თბილისი), დ. ბენდელიანი („კოლმეურნე“ ლენტეხი), გ. ბითიაშვილი („სპარტაკი“, თელავი).

მძიმე წონა. ა. გუბელაძე („დინამო“, ქუთაისი), დ. ბოლოთაევი (ასკ, თბილისი), ბ. ბოჭორიშვილი („სპარტაკი“, თელავი), გ. კაკაბაძე (ასკ, თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი (51,5 ქულა), 2. ლენტეხი (23,5), 3. თელავი (22,5).

ზ. ალექსანდრია.

● მეკლდეურობა

ექვსი გუნდის მონაწილეობით

ამას წინათ გაგრის მახლობლად, მდინარეების იუფშარასა და გეგას ხეობაში დამთავრდა სახელგანთქმული მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის საკავშირო მემორიალი მეკლდეურობაში.

წლევანდელი შეჯიბრება დაემთხვა მ. ხერგიანის დაბადების 50 წლის თავს. მემორიალში მონაწილეობდნენ: კიევის, კრასნოიარსკის, დონეცკის, ერევნის, მესტიისა და თბილისის გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო ვაჟთა წყვილთა გარბენით. ტრასა გაყვანილი იყო მეოთხე-მეხუთე კატეგორიის სირთულის, 40 მეტრის სიმაღლისა და 90 გრადუსიანი დაქანების კლდეზე. ამ სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა მესტიის გუნდის წარმომადგენელმა პედაგოგმა გ. უმფრიანმა, მეორე იყო ნ. დიდებულიძე, ხოლო მესამე—ზ. ქიტუაშვილი (ორივე—თბილისი).

ქალები 10 მეტრით ნაკლები სიმაღლის კლდეებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ პირველობა არავის დაუთმო მულახელმა ზ. ჭკადუამ. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს კიეველებმა ტ. პახალევამ, ე. უსიკმა.

ინდივიდუალური გარბენი შეჯიბრების მონაწილეთათვის უცნობ კლდეებზე იყო დანიშნული. მეხუთე-მეექვსე კატეგორიის სირთულის კლდეებს პირველნი ქალები შეებნენ. აქაც ჭკადუა იყო პირველი, უსიკმა და პახალევამ კი ადგილები შეცვალეს.

ვაჟებში ადგილები ასე განაწილდა: მ. ვერშინინი (კრასნოიარსკი), ი. ჩაპლინსკი (კიევი), ი. დიუკოვი (კრასნოიარსკი).

ეგრეთწოდებულ „დომბაის წყვილებში“ შეჯიბრება უცნობ მეხუთე-მეექვსე კატეგორიის სირთულის კლდეებზე იყო გადატანილი. უძლიერესის სახელი, კიეველებმა პახალევამ და უსიკმა მოიპოვეს. მეორე იყო მესტიელთა წყვილი: ზ. მჭედლიანი და ზ. ჭკადუა, ხოლო მესამე — თბილისელთა „დუეტი“ მ. შამანაური და ლ. მიქელაძე.

ვაჟთა შეჯიბრებაში შვიდი წყვილიდან ტრასის ბოლომდე უშეცდომოდ გავლა მხოლოდ თბილისელთა წყვილმა შეძლო. ესენი იყვნენ ნ. დიდებულიძე და ზ. ქიტუაშვილი. მათ შედეგით უსწრებდა კრასნოიარსკის წყვილი: მ. ვერშინინი და ვ. ტეპლიხი, მაგრამ ერთ-ერთი მონაწილის უყურადღებობის გამო დასაშვები თოკი სტარტზე დარჩა. მათ ეს მხოლოდ ჩამოსვლის წინ შეამჩნიეს, მიუხედავად ამისა, წყვილმა მაინც მოახერხა დაშვება, მაგრამ ფინიშამდე სულ ნახევარი მეტრი დააკლდა.

მსგავსი ტექნიკური შეცდომების გამო შეჯიბრებებიდან სხვა წყვილებიც მოიხსნა.

ქალთა მრავალჭიდში პირველი ადგილი დაიკავა ზ. ჭკადუამ, ხოლო ვაჟებში — ნ. დიდებულიძემ.

გუნდურ პირველობაში მართალია ყველას თბილისელებმა აჯობეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგრძნობა, რომ ამ გუნდში არ ზრუნავენ სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებაზე.

სინანული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ ასპარეზობაში არ მონაწილეობდა სოხუმის გუნდი.

გაგრაში, თუმცა შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა გუნდი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ აქ არ არიან მწვრთნელები. ძირითადი კი მაინც ის გახლავთ, რომ ადგილობრივი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი არამც თუ დაინტერესებულია მეკლდეურობით, არამედ საჭიროდ არ თვლის დახმარება გაუწიოს აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრების ორგანიზატორებს. და ეს ხდება მაშინ, როცა ასეთი დიდი მასშტაბის ასპარეზობები გაგრაში იშვიათად იმართება.

იმედი გვაქვს, რომ ხარვეზები გამოსწორდება და გაგრა მეკლდეურთა ერთ-ერთ დასაყრდენ ბაზად გადაიქცევა.

გაგრელ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მესვეურებმა უნდა მიბაძონ გაგრის საავადმყოფოს ახალგაზრდა ქირურგ ვ. ალასანიას, ავტოსატრანსპორტო ბაზის წარმომადგენლებს, მათ, ვინც კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ემსახურებოდა ამ შეჯიბრებას.

და ბოლოს, მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელს უწყობს ის დიდი ყურადღება და მონდომება, რომელსაც იჩენს საქართველოს კომპარტიის გაგრის ქალაქკომი.

დენიზა გოზალიშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ამას წინათ რუსთავის მახლობლად, რესპუბლიკის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ ბაზაზე გაიმართა საკავშირო შეჯიბრება საავტომობილო სამოდელო სპორტში.

სურათებზე: ასპარეზობის მონაწილენი — სსრ კავშირის რეკორდსმენები (მარცხნიდან) ვ. კუპლენოვი (მოსკოვის ოლქი), ვ. ბოიკო (ვინიცა) და ვ. პიკული (ნიკოლაევი); შეჯიბრების მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

მშენებლობაც შეწყდა...

სან-ფრანცისკო. კომერციული სული და შემოსავლის მიღების წყურვილი ართულებს 1984 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას. როგორც გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ წერს, პრაქტიკულად შეწყვეტილია სტადიონ „კოლიზეუმის“ — ოლიმპიური თამაშების მთავარი სარბიელის სამოდერნიზაციო სამუშაოები.

ამჯერად კონფლიქტი წარმოიშვა ოლიმპიადა-84-ის საორგანიზაციო კომიტეტს, „კოლიზეუმის“ ადმინისტრაციასა და ამ სტადიონზე მოასპარეზე პროფესიული ფეხბურთის კლუბის „ლოს-ანჯელეს რეინჯერესის“ მფლობელებს შორის. საორგანიზაციო კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, თამაშების ორგანიზატორებმა მიიღეს თამაშების დროს სტადიონის სრული კონტროლის უფლება. მაგრამ საფეხბურთო კლუბის მესვეურები, იმ საბაბით, რომ ისინი საკუთარი მოსაზრებებით აახლებენ სტადიონის ტრიბუნებს, კერძოდ რამდენიმე ახალ ლოჟას უმატებენ და ითხოვენ ამ ლოჟებზე გაყიდული ოლიმპიური ბილეთებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს. იქ, სადაც საქმე ფულის გაყოფაზე მიდის, ოლიმპიელებსა და ოლიმპიურ ნაგებობებს სწრაფად ივიწყებენ... (საკდესი).

საფრანგეთის ნაკრები— პირველი მეტოქე

საბჭოთა ჩოგბურთელები დევისის თასის 1983 წლის გათამაშების პირველ მატჩში 4-6 მარტს შეხვდებიან საფრანგეთის გუნდს მის მოედანზე. ეს გახდა ცნობილი ამ პოპულარული შეჯიბრების წილისყრის შედეგად.

პანორამა

● ფრენბურთი

ბუენოს-აირესი. საბჭოთა ფრენბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში ანგარიშით 3:1 სძლიეს პოლონეთის ნაკრებს და ვადამდე გაინაღდეს ფინალურ ოთხეულში მონაწილეობის უფლება. (საკდესი).

● სასტენდო სროლა

ალმა-ათა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხარკოველმა მესტენდურემ ა. ლავრიენკომ, რომელმაც სატრანშეო სტენდზე 200-დან 192 სამიზნე დაამსხვრია. კიეველმა დ. მონაკოვმა და ალმაათელმა ა. ტრიტენკომ 191-191 სამიზნე დააზიანეს. დამატებითი სერიის შემდეგ II ადგილზე გავიდა მონაკოვი. (საკდესი).

რეკორდები

ფინეთის ქალაქ იმატრაში დამთავრდა ძალოსნთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიკის თასი“. 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა საბჭოთა ათლეტმა ი. ზახარევიჩმა, რომელმაც ატაცში 196 კილოგრამი აჩვენა

რედაქტორი ა. ბასილაია

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე. 08512